# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 295. ხუთშაბათი, 3 მარტი 1905 წ. გაზეთის № 2759.


### ამირანი

ყალხზე შემდგარა ღრუბელი,
ტკბილად უცინის განთიადს
და ოქროს ზეწარს აფარებს
მწუხარე ღამის ხვაშიადს.

—

იფეთქა აღმოსავლეთმაც,
წითელი დროშა გაშალა,
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს
სხივები გადააყარა!

—

და აბა, ამ დროს ასრულდა!
ვერ გასძლო გულმა გმირისა,
მკლავი გაშალა, მიღეწა
წყეული ჯაჭვი რკინისა!

—

მიდის გულ-აზვირთებული,
მთა-ბარი აძლევს სალამსა,
მიდის და უმღერს საყვარელ
თავისუფლების ალამსა!

—

მღერის: „სალს კლდეზე მიკრულსა
მეყოფა ტანჯვა, ვაება,
მკერდს რო მიგლეჯდა ყორანი,
აწ ჩემს მახეში გაება.

—

რამდენი საუკუნეა
მე გარს მეხვია წყვდიადი,
ალ-ქაჯნი ხელებს მიკრავდნენ,
ფეხებს მიღრღნიდა ნიანგი!

—

თავს დამეიოდნენ სვავები,
ლეში ხრამებში დნებოდა
და თვალებიდან უშრეტი
სისხლის ღვართქაფი დგებოდა!

—

ცას რად შევკადრე პასუხი,
დემონს რად მივე მხარია,
ღმერთებს ღმერთობა უნდოდათ,
ეს იყო ჩემი ბრალია!

—

მაგრამ ვინ მისცათ ღმერთობა?
ვინ აიყვანათ ცაზედა?
თვის გარე საკმელს აკმევენ
და ცრემლებს ქვეყანაზედა!

—

ახ, ნეტა ერთხელ მენახა
მეც სიყვარულის ფიალა,
მის ნაცვლად გულში ასპიდმა
ნესტარი დამიტრიალა!

—

მე ღიმი მენატრებოდა,
ჯოჯოხეთი კი მღეროდა,
და ტარტაროზის ხელებში
ჩემს გვერდით ჩანგი ჟღეროდა!

—

თან კვერსა სცემდნენ ტანჯვებს
ყორანი მეშურებოდა,
მაგრამ ამირან იმედით
მოხუცი არა კვდებოდა!

—

და, აჰა, ეხლა შევმუსრე
მე ჯოჯოხეთის გენია,
მეყო რაც აქნობამდისინ
მე ციდან მომითმენია!“

—

ასე მოიმღერს გმირთ-გმირი
აზვირთებული გულითა
და განიერი გულ-მკერდი
უთრთოლავს სიხარულითა!

—

ყალხზე შემდგარა ცისკარი
ღიმილით გასცქერს განთიადს,
შუქურა ზეწარს აფარებს
მწუხარე ღამის ხვაშიადს.

—

იფეთქა აღმოსავლეთმაც,
წითელი დროშა გაშალა,
და თავისუფალს ამირანს
სხივები გადააყარა!

**ი. ევდოშვილი.**

## გურიის ცხოვრებიდან



ქ. ოზურგეთი.— პარასკეობა (ბაზრობა)



ოზურგეთი.



ოზურგეთი.—კერძო პროგიმნაზია



ოზურგეთი.—მიდამოები.



ოზურგეთი —ქალაქის ბაღი.



ოზურგეთი.—სამოქალაქო სასწავლებელი.



ოზურგეთი.— სამრევლო სასწავლებლის მოწაფენი.



სოფ. ასკანა.—ასკანის ეკლესია და სამკითხველო (მარცხნივ)



სოფ. ასკანა.—ასკანის [illegible]ხე და მდინარე ბახვის წყალი.



სოფ. ასკანა.—ყანაში მომუშავე



სოფ. შემოქმედი.—ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი.



სოფ. შემოქმედი.—წითელი მთის ეკლესია.



სოფ. ასკანა.—ყანაში მომუშავე



სოფ. ბახვი.—ორ-კლასიან სასწავლებლის მოწაფენი სამეურნეო გაკვეთილზე.



სოფ. ასკანა.—ჯვრობაში.



სოფ. შემოქმედი.—მიცვალებულის გადატანა ვიწრო ბოგირზე.



სოფ. ბახვი.—მოწაფეები ორ კლასიან სასწავლებლისა.



სოფ. ბახვი.—ბახვის ლინეიკა.

# ლექსისებური

სიბნელე იყო, მხოლოდ შორს სადღაც, ვით ზღვის კანდელის ჰოკიათობდა რაღაც სინათლე.

ამ სიბნელეში თვალებ შეჩვეულს ჩემსა გარემოს სურათს მავსა მივჩერებოდი.

მთა დიდი, შორი, ჩემს ზურგს უკან ამართულიყო და თუმც ვგრძნობდი, რომ იქაც სცხოვრებდნენ ჩემნი მოძმენი, მოყვასნი და მტრებიც საკმაო, არ ეტყობოდათ სიცოცხლისა მათ ნიშანი-წყალი.

არცა სინათლე, არცა ხმა რამ არ მოისმოდა...

იქ დაიბადა ის მგოსანი, რომელმაც გვამცნო: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი, მშობელი შობილს არას მეტყოდა!..“

ჩემს გვერდით ველი თვალ-უწვდენი დაფენილიყო, რომელს მოდგამდა ტყე ხშირი და ტყე უდაბური.

ხოლო ჩემ წინ კი ზღვა გადაშლილი თავის ტალღებს აჩქრიალებდა...

ზოგჯერ მესმოდა მისი გრგვინვა ყრუ და ძლიერი, ზოგჯერ ხვირთების ნელი ჩქროლა მინანავებდა. .

თავს ცა მრისხანედ მოქუშული ჩამომწოლოდა, თითქოს უნდოდა დრუბელთ ზვავ ქვეშ რომ მოვეყოლოდი...

ჰგავდა შუა ღამეს.

... ახლოს მდებარე ქალაქიდან მოისმოდა ხმა შერეული:

უგულო სიცილს გაგლისპებულ ქალთა და ვაჟთა, ღვინის ტბორეში აცურებულთ, მოღრიალეთა, ჩაგრულთა კვნესა, კბილთა ღრჭენა, წყევლა და კრულვა თან შერთოდა და...

სიმფონიას ჯოჯოხეთურს, ესრეთ დაწყობილს, მეც მასმენდა, მეც გარიყულსა, მიღმა მჯდომარეს...

გულში ვიკლავდი, შუნ ვახრჩობდი ცრემლთა ნაკადულს, პირველვე დამხობილს არ მინდოდა ადარაფერი;

თვის უღონობის კარგად მცოდნეს აღმოფხვრილ მქონდა ყოველივე რამ სასიკეთო, ტკბილი იმედი.

ან რა იმედი?!

ეს იყო გრძელი საუკუნე, ეს ბნელი ღამე.

მოვასწრებდი კი დილის ნახვას, გავძლებდი განა?!.

ოჰ, ეს გამოცანა!!

აქ თვით სატანა სიბნელისა მის ფრთებს აქნევდა...

ჩუ, მომხვდა ქარი, წამოვიწიე...

არა? ეს ნიავებრ პირს დამქიქინებს...

ღმერთო, ეს რაა, თითქოს ცის კიდეს მტრედის ფერი გადაებოდეს .. რა გაცრეცილი ელფერი აძევს არემარეს:

მთას უფრო გამორკვეულ სახისას ვხედავ.

ბიჭოს, სიმწვანე კვლავ ეტყობა შეფენილს სოფელს,

ჯერ არ დამჭკნარან იქ დარგული ტურფა ხეები!

ქვევით ველს რაღაც ოხშივარი თავზე გადმოდის, თითქოს ხაშმი რამ იქაური ნელა შორდება...

ტყეც კი შრიალებს?!

ზღვა?

დიდებულად, ნელა ტალღას სცემს, თითქოს სანახავს რამე დიადს იგიც მოელის.

ქალაქში?

გესმით? რა ხრიალია!

არა ეს არ გავს მოთქმა-კვნესას,

ეს ყიჟინაა!!

შორი კი, მაგრამ მყარი, ძლიერი, თითქოს შედედდა ძალთა ძალი და ჰე, მქუხარებს...

აგერ სინათლე!

ღმერთო ჩემო, ეს სიზმარია? ხომ არ ვგიჟდები? თუ მაცდურ ფერიათ წარმიტაცეს და სიზმარში სამოთხის კარს უნდათ მიმაგდონ, რომ სიფხიზლეში, გამოღვიძებულს კვლავ უფრორე გული მომიწყლან...

არა, ჰა, ხმა მესმის საიმედო, გმირული ხმები:

“წელი გავმართეთ, აწ შევინძრეთ ირიყრაყო!.. აღსდეგი მონავ! აწ შეიგნე, ბნელში აღარ ხარ! რაღად ემხობი, ამა, პირ-ქვე, თამამად და წინ...“

ცრემლები მახრჩობს.

მხოლოდ... სიხარულის არის ცრემლები.

**შალვა დადიანი.**



— გაიგე, ყველგან ეზოების დასუფთავება უნდათ, წუმპეები აღარ გვექმნება...

— ეე, რას ამბობ, ნუ იფიქრებ, ისე დაასუფთავონ, რომ საჩვენო წუმპე აღარ დარჩეს.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ, 1 марта 1905 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა.